



სამართლებრივი აქტის პროექტის დასახელება	სამართლებრივი აქტის პროექტის მოკლე აღწერა	საჯარო კონსულტაციის პროექტის გამოქვეყნების სავარაუდო თარიღი**	სამართლებრივი აქტის სავარაუდო მიღების თარიღი**
1. „ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციის, აგრეთვე მათი თავიდან აცილების მექანიზმების“ წესი	<p>წესით განსაზღვრება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადები, ფორმები და პროცედურა; • ქმედებათა ჩამონათვალი, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის უკანონო გამჟღავნებად და ბაზრის მანიპულაციად; • მოთხოვნები ინსაიდერული ინფორმაციისა და მმართველობითი გარიგებების გამჟღავნებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხის წარმოების მიმართ; 	01.08.2020	07.10.2020
2. „ემიტენტის შესახებ პერიოდული და მიმდინარე ინფორმაციის გამჟღავნებისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის“ წესი	<p>წესი ჩანაცვლებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N78/04 ბრძანებით დამტკიცებულ „ანგარიშვალდებული საწარმოების მიმართ პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნების განსაზღვრის, საანგარიშგებო მოთხოვნებისაგან განთავისუფლების, ანგარიშვალდებული საწარმოების ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის“ წესს და განსაზღვრავს მოთხოვნებს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის შესახებ პერიოდული და მიმდინარე ინფორმაციის გამჟღავნებისა და ასეთი ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის შესახებ;</p>	01.08.2020	07.10.2020
3. „საწარმოთა აქციებისა და ობლიგაციების ემისიის პროსპექტის და ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი“	<p>ცვლილებები განხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N226/04 ბრძანებით დამტკიცებულ „საწარმოთა აქციებისა და ობლიგაციების ემისიის პროსპექტის და ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების შესახებ ანგარიშის წარდგენის წესში“ და გამარტივდება პროსპექტის წარდგენის ფორმა და პროცედურა.</p>	01.08.2020	07.10.2020
4. „საინვესტიციო ფონდების ავტორიზაციის/რეგისტრაციის/ აღიარების და რეგულირების წესი“	<p>წესით ჩანაცვლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N22/04 ბრძანებით დამტკიცებული „საინვესტიციო ფონდების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების“ წესი და განისაზღვრება საინვესტიციო ფონდების ავტორიზაციის, რეგისტრაციისა და აღიარების პროცედურული საკითხები და მოთხოვნები პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით.</p>	10.08.2020	14.09.2020
5. „აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების/რეგისტრაციის/აღიარების და რეგულირების წესი“	<p>წესით ჩანაცვლება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის N42, N43, და N47 დადგენილებები და განისაზღვრება აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციისა და აღიარების პროცედურული საკითხები, მარეგულირებელი მოთხოვნები აქტივების მმართველი კომპანიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მოწყობასა და მათ პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით.</p>	10.08.2020	14.09.2020
6. „სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობისა და რეგულირების წესი“	<p>წესით ჩანაცვლება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის, N48 და N49 დადგენილებები და განისაზღვრება სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზირების, რეგისტრაციისა და აღიარების პროცედურული საკითხები, მარეგულირებელი მოთხოვნები სპეციალიზებული დეპოზიტარის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მოწყობასა და მათ პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით.</p>	15.08.2020	14.09.2020
7. „ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდის ერთეულების რეგისტრის წარმოების წესი“	<p>ცვლილებები განხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N206/04 ბრძანებით დამტკიცებულ „ფასიანი ქაღალდების რეგისტრის წარმოების“ წესში, კერძოდ, მას დაემატება თავი, რომელშიც ასახული იქნება საინვესტიციო ფონდის ერთეულების რეგისტრის წარმოების პროცედურული საკითხები.</p>	10.08.2020	14.09.2020

8. „საინვესტიციო ფონდების ლიკვიდაციის წესი“	შემუშავდება ახალი წესი, რომლითაც განისაზღვრება საინვესტიციო ფონდების ლიკვიდაციის პროცედურული დეტალები.	07.10.2020	30.11.2020
9. „ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსი საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრების მონაწილეებისთვის“	შემუშავდება ეთიკის პრინციპების კოდექსი, კომერციული ბანკებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლებსთვის.. კოდექსით განსაზღვრული პრინციპები და სტანდარტები ეფუძნება სერტიფიცირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა (CFA) ინსტიტუტის მიერ განსაზღვრულ ეთიკის პრინციპებსა და პროფესიული ქცევის სტანდარტების ჩარჩოს. აღნიშნული კოდექსი ჩაანაცვლებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N154/04 ბრძანებით დამტკიცებულ „ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსს კომერციული ბანკებისთვის“.	30.10.2020	30.01.2021
10. „კორპორაციული მართვის კოდექსი“ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის“	შემუშავდება საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსი, რომლითაც ხელი შეეწყობა კომპანიების მმართველობითი სტრუქტურის გაძლიერებას, მმართველ ორგანოებს შორის პასუხისმგებლობათა უფრო ეფექტიან გადანაწილებას, და გათვლილი იქნება ინვესტორთა უფლებების დაცვისა და ნდობის გაუმჯობესებაზე. კოდექსით განსაზღვრული პრინციპები ეფუძნება საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებას, მათ შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), წამყვანი საფონდო საფონდო ბირჟების, ევროკომისიისა და სხვა მოწინავე კორპორაციული მართვის სტანდარტებსა და პრინციპებს.	30.11.2020	28.02.2021

*გარდა ზემოთ ჩამოთვლილი წესების პროექტებისა, იეგმება სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელ სხვა სამართლებრივ აქტებში.

**გარემოებებიდან გამომდინარე, ცხრილში მითითებულ თარიღებმა შესაძლოა კორექტირება განიცადოს.